პროექტი

დადგენილება

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, ,,დ.დ“ და ,,დ.ე“ ქვეპუნქტის, 61- მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 (www.matsne.gov.ge, 31/03/2021, სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.114.016451) დადგენილებაში:

1.დადგენილების დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2.დადგენილების დანართი 2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.